რუსთავის მეტალურგიული ქარხანა
1948 წლიდან

შპს "რუსთავის ფოლადი"
გაგარინის ქ. 12, 3700, რუსთავი, საქართველო
ტელ: +99532 2 606699
ფაქსი: +99532 2 606699(3030)
contacts@rustavisteel.ge
www.rustavisteel.ge

№ 325

12/08/2020

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

როგორც თქვენთვის ცნობილია, დღეისათვის შპს ,,რუსთავის ფოლადი'', მის საკუთრებაში არსებულ წიდასაყარზე, ახორციელებს ლითონის შემცველი არასახიფათო წიდების დამუშავებას. რაც მოიცავს, შავი და ფერადი ლითონების მექანიკურ განცალკევებას, წიდის დამსხვრევა-დაქუცმაცებას და ფრაქციებად დახარისხებას.

არსებული წიდასაყარის ტერიტორიაზე დაგეგმილია არა მხოლოდ შპს ,,რუსთავის ფოლადის'' მეტალურგიული საწარმოს ნარჩენების, არამედ, სხვა ანალოგიური საწარმოების ნარჩენების (წიდები, ხუნჯი, მტვერდამჭერი სისტემებიდან მიღებული მტვერი) და სამშენებლო ნარჩენების მიღება-განთავსება, რომელიც დამუშავდება წიდასაყარზე არსებულ და დაგეგმილ სამსხვრევ-დამხარისხებელ დანადგარებზე.

დაგეგმილი საქმიანობა არ ითვალისწინებს წიდასაყარზე მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესების ცვლილებას, ადგილი ექნება, საწარმოში დამუშავების მიზნით შემოტანილი ნარჩენების რაოდენობის გაზრდას. საწარმოში, დღე-ღამეში შემოტანილი ნარჩენების მოსალოდნელი რაოდენობა აღემატება 100 ტონას.

იმის გათვალისწინებით, რომ წიდასაყარი წარმოადგენს შპს ,,რუსთავის ფოლადის'' ფოლადსადნობი საამქროს ნედლეულით (მეტალების შემცველი ნედლეული) მომარაგების ერთ-ერთ წყაროს, წიდასაყარზე, მეტალის შემცველი ნარჩენების რაოდენობის გაზრდის მიზნით, სკოპინგის ეტაპზე, მეტალურგიული წარმოების ნარჩენების მიღების გარდა, ასევე განიხილებოდა მწყობრიდან გამოსული ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების, აკუმულატორების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკის მიღება, დაშლა-დახარისხება (სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება) და რეალიზაცია. ამ დროს მიღებული ლითონების დამუშავება/აღდგენა დაგეგმილი იყო მეტალურგიულ საწარმოში ან მოხდებოდა მათი რეალიზაცია, ხოლო ნარჩენის სახით წარმოქმნილი საბურავების, პოლიმერების, ძრავის ზეთების და სხვა სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების გადამუშავებისთვის, ამავე საწარმოში განიხილებოდა რეზინ-ტექნიკური ნაწარმის და პოლიმერების გადამუშავების, მჟავების ნეიტრალიზაციის და ასევე ინსინერაციის უბნების მოწყობა.

13043
18" 08 2020
2/11/60

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N2-385 ბრძანების შესაბამისად გაცემული N39; 4.05.2020 სკოპინგის დასკვნის მიხედვით, სამინისტრომ დაგეგმილი საქმიანობები არ განიხილა ტექნიკურად ან/და ფუნქციურად დაკავშირებულ საქმიანობებად, სკოპინგის ანგარიშში განხილული საქმიანობები გაიყო ორ ნაწილად და წარმოდგენილი გზშ-ს ანგარიში ეხება, შემდგომი გადამუშავების მიზნით, დღე-ღამეში 100 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენის განთავსებას (მეტალურგიული წარმოების ნარჩენების (წიდები, ხენჯი, მტვერდამჭერი სისტემებიდან მიღებული მტვერი და სამშენებლო ნარჩენების განთავსება) და დამუშავებას, ხოლო დანარჩენ საქმიანობებზე, ცალკე მომზადდება შესაბამისი დოკუმენტაცია.

აქედან გამომდინარე, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-10 მუხლისა და ზემოაღნიშნული სკოპინგის დასკვნის გათვალისწინებით, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოგიდგენთ, ქ, რუსთავის წიდასაყარის ტერიტორიაზე „დღე-ღამეში 100 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენის განთავსების და დამუშავების საწარმოს" გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

დანართი:

1. „დღე-ღამეში 100 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენის განთავსების და დამუშავების საწარმოს" გზშ-ის ანგარიში - 1 ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია;
2. ზემოაღნიშნული საქმიანობის არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია;
3. ზემოაღნიშნული საქმიანობის ნარჩენების მართვის გეგმა - 1 ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია;
4. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი - 2 ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია;
5. საწარმოს განთავსების ტერიტორიის GIS კოორდინატები shp ფაილების სახით და 1-4 პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტების ელ ვერსია - 1 CD;
6. საწარმოს განთავსების ტერიტორიის სიტუაციური რუკა;
7. გზშ-ის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ასლი;
8. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
9. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

პატივისცემით,

ნუგზარ კაჩუხაშვილი

შპს „რუსთავის ფოლადი"-ს დირექტორი

შპს "რუსთავის ფოლადი" 404411908 LLC "RUSTAVI STEEL"